საქართველოს კანონი

,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 35^4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. მრჩეველთა საბჭოსათვის, დაკისრებული მოვალეობების განსახორციელებლად, გამოყოფილი თანხა შეადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის 3 პროცენტს. აქედან მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 2 %-ს.“

2. 35^9 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,კ) განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამულ პრიორიტეტებს და ათანხმებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან.“.

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან, ხოლო პირველი მუხლის მე-2 პუნქტი გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი